

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა

**მარიამ პეტრიაშვილი**

**ატოპიური დერმატიტის ფორმირების პროგნოზული კრიტერიუმები**

**და პროფილაქტიკა ჩვილ ბავშვთა პოპულაციაში**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლიანა ჟორჟოლიანი

თსუ ასოცირებული პროფესორი, მედიცინის  
მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2021 წელი

## სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: ატოპიური დერმატიტი, ბავშვები, პრედიქტორები, ვიტამინი D, პროფილაქტიკა.

ატოპიური დერმატიტი წარმოადგენს ბავშვთა მოსახლეობის გავრცელებულ ალერგიულ დაავადებას, რომელიც ფორმირდება ადრეულ ასაკში და ხასიათდება კლინიკური პრეზენტაციის ფართო სპექტრით. პრობლემას წარმოადგენს ატოპიის ფორმირების რისკის სანდო ლაბორატორიული მარკერების არარსებობა, რაც შესაძლებელს გახდის ტარგეტული ღონისძიებების განხორციელებას სიცოცხლის ადრეულ ეტაპზე. უკანასკნელი ათწლეულის მონაცემებით, ბავშვებში ალერგიული დაავადებების განვითარების მაღალი რისკი ასოცირდება ვიტამინ D-ს დეფიციტთან. ამავდროულად, ბოლომდე დაზუსტებული არ არის ვიტამინ D-ს კონცენტრაციის კავშირი ატოპიის ოჯახურ ანამნეზთან.

### კვლევის მიზანი:

ადრეული ასაკის ბავშვებში ატოპიური დერმატიტის ფორმირების კლინიკური, ტრიგერული და იმუნოლოგიური მარკერების პროგნოზული მნიშვნელობის შეფასება და მათ საფუძველზე მიზანმიმართული პროფილაქტიკური ღონისძიებების დასახვა ჩვილ ბავშვთა პოპულაციაში.

### კვლევის ამოცანები:

კვლევის ამოცანებს შეადგენდა: დედა-ბავშვის წყვილის სამიზნე პოპულაციის პროსპექტული კვლევა; ატოპიური დერმატიტის ფორმირების პრე- და პერინატალური პრედიქტორების გამოვლენა; ორსულებში ეოზინოფილების, IgE-ს და ვიტამინ D-ს კონცენტრაციის რაოდენობრივი მაჩვენებლების (ქვარტილები, ინტერქვარტილური დიაპაზონი) შესწავლა; ორსულებში ვიტამინ D-ს დეფიციტის და ბავშვებში ატოპიური დერმატიტის მიმდინარეობის თავისებურებების ასოციაციის შეფასება; ატოპიური დერმატიტის ფორმირების ადრეული პროგნოზული მოდელის შემუშავება.

### კვლევის შედეგები:

მიღებული შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა რამოდენიმე ცვლადი, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს ატოპიური დერმატიტის პრე- და პერინატალურ რისკის ფაქტორებად ადრეულ ასაკის ბავშვებში: დედის ასაკი < 25 წელზე (OR – 3,54), არასრული ოჯახი (OR–1,28), ცხოვრების არადამაკმაყოფილებელი პირობები (OR– 4.52), კომორბიდული პათოლოგიის მხრივ: საჭმლისმომნელებელი სისტემის და სასუნთქი სისტემის დაავადებები, ჰიპოთირეოზი. ატოპიურ დერმატიტთან მკაფიო ასოციაციური კავშირი გამოვლინდა ორსულობის და მშობიარობის რიგი გართულების მხრივ (პლაცენტის წინამდებარეობა, მეკონიალური სანაყოფე სითხე, გესტაციური დიაბეტი, პლაცენტის აცლა, ნაადრევი მშობიარობა და საკეისრო კვეთა). მაღალი პრედიქტული ღირებულებით გამოირჩეოდა ორსულობის ნაადრევი შეწყვეტის საფრთხე (OR-2.03), ორსულობის პერიოდში ანტიბიოტიკოთერაპია (OR- 4,08), უროგენიტალური ინფექცია (OR-2.33).

ატოპიური დერმატიტით დაავადებულ ბავშვთა დედებში D ვიტამინის შემცველობის დეფიციტი აღენიშნებოდა გამოკვლეულთა უმრავლესობას (61,7%), ხოლო D ვიტამინის უკმარისობა - 28,3%-ს. 25(OH)D-ს მედიანური დონე შეადგენდა 18,9 (IQR - 11,2) ნგ/მლ-ს, რაც ბევრად ბევრად ჩამორჩებოდა საკონტროლო ჯგუფის მონაცემს 24,2 (IQR - 9,6).

2 წლამდე ასაკში განვითარებული ატოპიური დერმატიტის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეპიდერმალური და კვებითი ალერგენები. დაავადების დებიუტი ხშირ შემთხვევაში უკავშირდება საკვებს (88,1%), ძროხის რძეს (45,8%), მოვლის საშუალებებს (45,8%) და მედიკამენტებს (25,0%). დაავადება ხასიათდება ადრეული დასაწყისით, პერსისტითიული მიმდინარეობით (68,3%), საშუალო სიმძიმის პრევალირებით (59,2%), კომორბიდული სომატური (რესპირაციული, გასტროინტესტინალური) დარღვევების მაღალი სიხშირით.

### **კვლევის პრაქტიკული ღირებულება:**

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა პირველადი პროფილაქტიკური ღონისძიებები: საჭიროების შემთხვევაში, ორსულის ჰიპოალერგიული ყოფისა და კვების რეჟიმის შემუშავება, D ვიტამინის დონის განსაზღვრა და კორექცია, ნეონატალურ პერიოდში ატოპიის რისკის ან სიმპტომთა მქონე ბავშვთა სათანადო ალერგოლოგიური მონიტორინგი, მშობლების განათლება ატოპიის თვალსაზრისით, ამ მიმართულებით ეტაპური პრევენციული ღონისძიებების გატარება.

### **Abstract of the Dissertation**

Keywords: Atopic dermatitis, Children, Predictors, Vitamin D, Prevention.

Atopic dermatitis is a widespread allergic disease in the pediatric population that is formed at an early age and is characterized by a wide range of clinical presentation.

The problem is the lack of reliable laboratory markers of the risk of atopy formation, which will make it possible to implement targeted measures at an early stage of life. According to recent data, a high risk of developing allergic diseases in children is associated with vitamin D deficiency. At the same time, the association of vitamin D concentration with a family history of atopy has not been fully elucidated.

### **Aim of the Research**

Evaluate the prognostic significance of clinical, triggering and immunological markers of atopic dermatitis formation in young children and establish targeted prophylactic measures based on them in the infant population.

### **Objectives of the Research**

The objectives of the research were: prospective study of the target population of the mother-child couple; detection of pre- and perinatal predisposition to the formation of atopic dermatitis; study of quantitative indicators of eosinophils, IgE and vitamin D concentration in pregnant women (quartiles, interquartile range); evaluation of the association between

vitamin D deficiency in pregnant women and the course of atopic dermatitis in children;  
Develop an early prognostic model of the formation of atopic dermatitis.

### **Results of the Research**

The study identified several variables that may be considered as pre- and perinatal risk factors for atopic dermatitis in young children: maternal age <25 years (OR - 3.54), incomplete family (OR-1.28), unsatisfactory living conditions (OR-4.52). ).

In terms of comorbid pathology: diseases of the digestive system and respiratory system, hypothyroidism. A clear association with atopic dermatitis has been identified in terms of a number of complications of pregnancy and childbirth (placenta previa, stained amniotic fluid, gestational diabetes, placental abruption, preterm delivery and cesarean section). The risk of premature termination of pregnancy (OR-2.03) was distinguished by high predictive value;

Most mothers of children with atopic dermatitis had a deficiency of vitamin D (61.7%) and 28.3% had a mild deficiency of vitamin D. The median level of 25 (OH) D was 18.9 (IQR - 11.2) ng / ml, which was much lower than the control group data of 24.2 (IQR - 9.6).. Epidermal and food allergens play an important role in the formation of atopic dermatitis under the age of 2 years. The onset of the disease is often associated with food (88.1%), cow's milk (45.8%), care products (45.8%), and medications (25.0%). The disease is characterized by early onset, persistent course (68.3%), moderate severity (59.2%); With a high frequency of comorbid somatic (respiratory, gastrointestinal) disorders.

### **Practical value of the research**

Based on the results of the stud, following primary prophylactic measures were developed: proper allergological management of pregnancy, determination and correction of vitamin D levels, proper allergological monitoring of children at risk of atopia or symptoms in the neonatal period, education of parents in terms of allergy, take timely and adequate preventive measures.

## სარჩევი

<b>შესავალი</b>	1
<b>ლიტერატურის მიმოხილვა</b>	
➤ ატოპიური დერმატიტის ფორმირების თანამედროვე ასპექტები	7
➤ ატოპიური დერმატიტი ადრეული ასაკის ბავშვებში	23
➤ D ვიტამინის როლი ატოპიური დერმატიტის ფორმირებაში	39
<b>კვლევის მეთოდოლოგია</b>	52
<b>კვლევის შედეგები</b>	
➤ ორსულების და ახალშობილების კლინიკურ-იმუნოლოგიური მახასიათებლები	62
➤ ატოპიური დერმატიტის მიმდინარეობის თავისებურებები ადრეული ასაკის ბავშვებში	75
➤ ატოპიური დერმატიტის პრე - და პერინატალური პრედიქტორები ადრეული ასაკის ბავშვებში	86
➤ ვიტამინ D-ს სტატუსი ატოპიური დერმატიტით დაავადებულ ბავშვთა დედეებში	96
<b>კვლევის შედეგების განხილვა</b>	104
<b>დასკვნები და რეკომენდაციები</b>	122
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	125
<b>გამოქვეყნებული ნაშრომების სია</b>	145

## ცხრილების, გრაფიკებისა და ილუსტრაციების ჩამონათვალი

➤ ატოპიური დერმატიტის ფორმირების რისკის ფაქტორები ბავშვებში (ცხრილი 1)	10
➤ ჰიპერმგრძნობელობის კლასიფიკაცია (ცხრილი 2)	11
➤ ერთ წლამდე ასაკში ალერგიის გამომწვევი საკვები პროდუქტები (ცხრილი 3)	17
➤ ატოპიური დერმატიტის კლასიფიკაცია ბავშვებში (ცხრილი 4)	24
➤ ატოპიური დერმატიტის კლინიკური გამოვლინებები სიმძიმის მიხედვით (ცხრილი 5)	28
➤ ატოპიური დერმატიტის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები (ცხრილი 6)	30
➤ ატოპიური დერმატიტის ფენოტიპები ბავშვებსა და მოზრდილებში (ცხრილი 7)	32
➤ D ვიტამინის რეცეპტორების (VDR) ლოკალიზაცია (ცხრილი 8)	41
➤ ვიტამინ D-ს როლი ატოპიური დერმატიტის პათოგენეზში (სქემა 1)	44
➤ კვლევის ამოცანები, მეთოდები და შესრულებული სამუშაოს მოცულობა, (ცხრილი 9)	53
➤ ვიტამინ D-ს შემცველობის გრადაციები (ცხრილი 10)	55
➤ ატოპიური დერმატიტის სტრუქტურირებული ანკეტა (ცხრილი 11)	55
➤ ატოპიური დერმატიტის სიმძიმის შეფასება კლინიკური გამოვლინების მიხედვით (ცხრილი 12)	57
➤ CoMiSS -ის ცხრილი (ცხრილი 13)	58
➤ ორსულთა სოციალურ- დემოგრაფიული მახასიათებლები (ცხრილი 14)	63
➤ ქრონიკული ავადობის სტრუქტურა გამოკვლეულ ორსულებში (დიაგრამა 1)	64
➤ ალერგიული გამოვლინებები მშობლებში (დიაგრამა 2)	65
➤ ორსულობის გართულებები გამოკვლეულ კონტინგენტში (ცხრილი 15)	67
➤ ეოზინოფილების ქვარტილური მაჩვენებლები ორსულებში (დიაგრამა 3)	69
➤ IgE-ს ქვარტილური მაჩვენებლები ორსულებში (დიაგრამა 4)	70
➤ ახალშობილების მახასიათებლები გამოკვლეულ კონტინგენტში (ცხრილი 16)	71

➤ სინდრომოლოგიური დარღვევები ახალშობილებში (დიაგრამა 5)	72
➤ IgE-ს ქვარტილური მაჩვენებლები ახალშობილების ჭიპლარის სისხლში (დიაგრამა 6)	73
➤ ატოპიური დერმატიტის დებიუტის ასაკი ბავშვებში (დიაგრამა 7)	76
➤ ატოპიური დერმატიტის გამწვავების მიზეზები ბავშვებში (ცხრილი 17)	77
➤ კანის მხრივ არსებული ცვლილებები ატოპიური დერმატიტით დაავადებულ ბავშვებში (ცხრილი 18)	79
➤ თანარსებული ალერგიული რეაქციები ად-თი დაავადებულ ბავშვებში (ცხრილი 19)	80
➤ კომორბიდული დაავადებები ად დაავადებულ ბავშვებში (ცხრილი 20)	81
➤ CoMiSS - ის მონაცემები გამოკვლევულ კონტინგენტში (ცხრილი 21)	84
➤ დემოგრაფიული და სოციალური რისკის ფაქტორები (ცხრილი 22)	87
➤ ქრონიკული სომატური პათოლოგია დედებში (ცხრილი 23)	88
➤ ალერგიული პათოლოგია მშობლებში (ცხრილი 24)	90
➤ მიმდინარე ორსულობის გართულებები (ცხრილი 25)	92
➤ მშობიარობის გართულებები (ცხრილი 26)	92
➤ რისკის ფაქტორების შეფარდებითი ინტენსიობის კოეფიციენტი (ცხრილი 27)	93
➤ 25(OH)D-ს ნორმის, უკმარისობის და დეფიციტის მაჩვენებლები ორსულებში (ცხრილი 28)	97
➤ D ვიტამინის კონცენტრაციის ქვარტილური მაჩვენებლები ორსულებში (დიაგრამა 8)	98
➤ 25(OH)D-ს ნორმის, უკმარისობის და დეფიციტის სიხშირე ორსულებში ატოპიის გათვალისწინებით (ცხრილი 29)	98
➤ 25(OH)D-ს ქვარტილური მაჩვენებლები ორსულებში ატოპიის გათვალისწინებით, (დიაგრამა 8)	100
➤ ალერგიული გამოვლინებები ატოპიური დერმატიტით დაავადებულ ბავშვებში, დიაგრამა 9	102



## შემოკლებები და აბრევიატურები

- ❖ ად - ატოპიური დერმატიტი
- ❖ ბა - ბრონქული ასთმა
- ❖ ISAAC - (International Study of Asthma and Allergy in Childhood — ასთმის და ალერგიის საერთაშორისო კვლევა
- ❖ SCORAD - (Scoring Atopic Dermatitis) ატოპიური დერმატიტის სიმძიმის ინდექსი
- ❖ EAACI - ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპული აკადემიის ნომენკლატურული კომიტეტი
- ❖ PRACTALL - The Practical Allergy consensus report
- ❖ CoMiSS - Cow's Milk related Symptom Score
- ❖ AEDS - ატოპიური ეგზემა/დერმატიტის სინდრომი
- ❖ TGF- $\beta$ 1 - მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი
- ❖ CMPA - ძროხის რძის ცილაზე ალერგია
- ❖ GBS – B ჯგუფის სტრეპტოკოკი
- ❖ VDR - D ვიტამინის რეცეპტორები
- ❖ 25(OH)D - 25 ჰიდროქსივიტამინი
- ❖ 1,25(OH)2D3 - 1,25დიჰიდროქსივიტამინი
- ❖ 1,25(OH)2D - კალციტრიოლი
- ❖ SGA - გესტაციურ ვადასთან შედარებით პატარა
- ❖ LGA - გესტაციურ ვადასთან შედარებით დიდი
- ❖ OR - შანსების თანაფარდობა
- ❖ CI - სანდოობის ინტერვალი
- ❖ ADHD - ყურადღების დეფიციტის სინდრომი ჰიპერაქტივობით
- ❖ ცნს - ცენტრალური ნერვული სისტემა

## შესავალი

ბავშვთა მოსახლეობის ქრონიკულ დაავადებათა შორის გავრცელების თვალსაზრისით წამყვანი ადგილი ალერგიულ დაავადებებს განეკუთვნება. ალერგიული დაავადებების (ატოპიური დერმატიტი, ბრონქული ასთმა, ალერგიული რინიტი) გავრცელების დრამატული ზრდა ბოლო ათწლეულების პერიოდში, სრულ საფუძველს იძლევა „ალერგიის პანდემიაზე“ ვისაუბროთ. ამ დაავადებათა გავრცელება მაღალია ბავშვთა პოპულაციაში, რასაც ადასტურებს ბოლო ორ დეკადაში ატოპიური დერმატიტის პრევალენტობის სამჯერ მატება (61, 102).

უმეტეს შემთხვევაში, ატოპიური დერმატიტი ფორმირდება სიცოცხლის პირველ თვეებში კლინიკური პრეზენტაციის ფართო სპექტრით და ძნელად ემორჩილება თერაპიას (25). ატოპიური დერმატიტით დაავადებულ ბავშვებს ხშირად უვითარდებათ სხვა ალერგიული პათოლოგიები, აღენიშნებათ კანის მეორადი დაინფიცირებისადმი განწყობა. ატოპიური დერმატიტის გავრცელება 15-30%-ს შეადგენს ბავშვთა პოპულაციაში და 3%-ს მოზრდილებში. ბავშვთა პოპულაციის 45% -ში დებიუტი 6 თვემდე ასაკში ფიქსირდება, 60%-ში - 1 წლამდე, 85%-შემთხვევაში კი 5 წლამდე ასაკში. შემთხვევათა 1/3-ში გრძელდება მოზრდილობაში (43, 101, 207, 215).

ალერგიული პათოლოგიის მზარდი ტემპი ბავშვთა ასაკში, მძიმე ფორმების კონსტატაცია და ადრეული დებიუტი განაპირობებს ამ დაავადებათა პროგნოზირების აუცილებლობას ანტენატალური პერიოდიდან დაწყებული, ასევე ადრეული პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებას და მათ იმპლემენტაციას (3).

ბავშვებში ატოპიური დერმატიტის დებიუტი უხშირესად დაკავშირებულია კვებით ალერგიასთან. ნებისმიერმა საკვებმა შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია. დღეისათვის 170-მდე კვების პროდუქტი დადასტურებულად წარმოადგენს IgE - განპირობებული რეაქციის მიზეზს. სიცოცხლის პირველ წელს ატოპიური დერმატიტით დაავადებულთა 90%-ში კვებითი ალერგია დაკავშირებულია ძროხის რძის ცილებთან. დაავადების შემდგომი გამწვავებების დროს ეტიოლოგიურ

მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ კვებითი ალერგენები, არამედ საყოფაცხოვრებო, ეპიდერმალური, მტვრისმიერი და სხვა ალერგენები (12, 114,194).

სიცოცხლის პირველ წელს კვებითი ალერგიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ კვებითი ალერგენებისადმი სენსიბილიზაცია შემდგომში ატოპიური დერმატიტის, გასტროინტესტინალური ალერგიის და ზოგადად სხვადასხვა ალერგოლოგიური პათოლოგიის მანიფესტაციის გამწვავებ მექანიზმად გვევლინება. არსებული კვლევების მიხედვით, ატოპიური დერმატიტით დაავადებული ადრეული ასაკის ბავშვთა 40%-ში კონსტატირდება კვებითი ალერგია. მისი გავრცელება ევროპასა და აშშ-ში მერყეობს 4% დან - 7,5% - მდე. ადრეულ ასაკში კვებითი ალერგია ხშირად კორელირებს დაავადების სიმძიმის ხარისხთან (214). ატოპიური დერმატიტის ადრეული დებიუტის მქონე ბავშვთა 50-70% სენსიბილიზირებულია ერთი ან რამოდენიმე კვებითი ალერგენის მიმართ (ძროხის რძე, კვერცხი, არახისი), ამავე დროს, შესაძლოა დადგინდეს სხვა „დამნაშავე“ ფაქტორიც: ოთახის მტვრის ტკიპა, მცენარის მტვერი და შინაური ცხოველები (24, 32, 34).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კვებითი ალერგიის ანტენატალური და პოსტნატალური პროფილაქტიკა (133). კვებითი ალერგიის პროფილაქტიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი კვლევების მიუხედავად (194, 215), არსებული პრევენციული ღონისძიებები, რომელთა ეფექტურობა თანამედროვე მტკიცებულებებზეა დამყარებული, მაინც მწირია, რაც განპირობებულია მათი მტკიცებულებების საფუძველზე შემუშავების სირთულით.

ცნობილია, რომ ატოპიური დერმატიტი 50%-ზე მეტ შემთხვევაში ვითარდება 12 თვემდე ასაკის ჩვილებში. ადრეულ ასაკში მნიშვნელოვან ტრიგერულ ფაქტორად ძროხის რძე გვევლინება. ძროხის რძის ცილაზე ალერგია ხშირად ვითარდება ხელოვნურ ან შერეულ კვებაზე მყოფ კონტინგენტში. ბუნებრივ კვებაზე მყოფ ბავშვებში აღინიშნება 0,5-1,5%-ში, რაც განპირობებულია მუცლადყოფნის პერიოდში ნაყოფის სენსიბილიზაციით, აგრეთვე, ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში დედის მიერ რძის პროდუქტების ჭარბი გამოყენებით.

პედიატრიულ პრაქტიკაში ძროხის რძის ცილაზე ალერგიის ვერიფიცირების არაინვაზიური მეთოდების შემუშავება და დანერგვა ადრეული ასაკის ბავშვებში აქტუალური ამოცანაა, ამავდროულად, ადრეული პრევენციის და თერაპიის საფუძველია. მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტ-ექსპერტების მიერ ძროხის რძის ცილაზე ალერგიის შესახებ პედიატრების ინფორმირებულობის გაზრდის, სიმპტომების ადრეული ვერიფიცირების და შეფასების მიზნით შემუშავდა CoMiSS კლინიკური სკალა (66). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადრეული პრედიქტიული ინდექსების/სკალის გამოყენებას ადრეული ასაკის ბავშვებში.

ალერგიული დაავადებების პირველადი პროფილაქტიკის ზოგადი პრობლემაა დაბადებისას ატოპიის ფორმირების რისკის სანდო ლაბორატორიული მარკერების არარსებობა, რაც შესაძლებელს გახდის სასტარტო, ტარგეტული, პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებას და მათ მაქსიმალურ ეფექტურობას სიცოცხლის ადრეულ ეტაპზე. შვედმა მეცნიერებმა აწარმოეს 34 ახალშობილის ხაჭოსებრი საცხის (vernix caseosa) 203 ცილის იდენტიფიცირება და რაოდენობრივი შესწავლა თხევადი ქრომატოგრაფიისა და მას-სპექტრომეტრიის ტანდემით და გამოავლინეს, რომ ორი ცილა (პოლიუბიკვიტინ-C და კანის კალმოდულინ-მსგავსი ცილა) გვევლინება ატოპიური დერმატიტის ფორმირების პროგნოზირების პერსპექტიულ ბიომარკერად.

არსებობს აპგარის სკალის მონაცემების მიხედვით ალერგიული პათოლოგიის განვითარების რისკის შეფასების კვლევები. ფინელ მკვლევართა მონაცემებით, აპგარის დაბალი ქულები ზრდის ასთმის განვითარების რისკს. საწინააღმდეგო მოსაზრებით, აპგარის მაჩვენებლები არ უკავშირდება ასთმას ან პოლინოზს (152,162). დანიელი მეცნიერების მიერ ჩატარებული ტყუპების პოპულაციური კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აპგარის მაღალი მაჩვენებელი და მდედრობითი სქესი ატოპიური დერმატიტის მაღალი რისკის ფაქტორებია. ახალშობილის ანთროპომეტრიული მონაცემები არ იყო დაავადების განვითარებასთან სარწმუნო კავშირში. გამოვლენილი რისკის ფაქტორების არსებითი სხვაობა არ იქნა დაფიქსირებული მონოზიგოტურ და დიზიგოტურ ტყუპებში. ამავე დროს, ავტორები მიუთითებენ, რომ ეს ახალი დასკვნები საჭიროებს შემდგომ დადასტურებას ( 162).

მკვლევართა ნაწილი სიცოცხლის პირველი 4 კვირის ასაკში სისხლში ეოზინოფილების მომატებას ატოპიური დერმატიტის პროგნოზულ მარკერად მიიჩნევს (127,178). არსებობს კვლევები, სადაც ატოპიის ფორმირების მაღალი რისკის ჯგუფების გამოყოფის მიზნით, უპირატესობა ჭიპლარის სისხლში IgE-ს დონის განსაზღვრას ენიჭება (153, 161).

ბოლო მონაცემების მიხედვით, ბავშვებში ალერგიული დაავადებების განვითარების მაღალი რისკი დაკავშირებულია ვიტამინ D-ს დეფიციტთან, თუმცა, ასეთი გავლენის ზუსტი მექანიზმები არ არის შესწავლილი. ატოპიური დერმატიტით დაავადებულ ჩინელ ბავშვთა შორის ჩატარებული შემთხვევა-კონტროლის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ტოტალური IgE-ს მატება შედარებით მაღალი იყო ვიტამინ D- დეფიციტურ ჯგუფში (43,2%), ვიდრე ვიტამინ D-ს ნორმალური მაჩვენებლების ჯგუფში (20,0%), ხოლო ად სიმძიმე უარყოფითად კორელირებდა შრატის 25(OH)D დონესთან (227).

ექსპერტები მიუთითებენ ვიტამინ D-ს დეფიციტის შევსების მნიშვნელობაზე ატოპიური დაავადებების პრევენციის და თერაპიის მიზნით. ამავე დროს, ჩვენებები არ არის ბოლომდე დაზუსტებული და საჭიროებს ფართომასშტაბიანი კვლევების ჩატარებას. ასევე არ არის შესწავლილი ვიტამინ D-ს კონცენტრაციის კავშირი ატოპიის ოჯახურ ანამნეზთან (208, 217). დატვირთული ოჯახური ალერგოლოგიური ანამნეზი წარმოადგენს ატოპიური ფენოტიპის ფორმირების მნიშვნელოვან პროგნოზულ კრიტერიუმს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ვიტამინ D-ს და IgE-ს დონის განსაზღვრა ახალშობილის ჭიპლარის სისხლში, აგრეთვე, ატოპიის და ატოპიური დერმატიტის მქონე დედეებში (226).

ბავშვთა ასაკში ატოპიური დერმატიტის ინტენსიური შესწავლის მიუხედავად, არასაკმარისად არის შეფასებული ატოპიური დერმატიტის ფორმირების პროგნოზირების კრიტერიუმები და, შესაბამისად, ადრეული პრევენციის ასპექტები. ალერგიული დაავადებების მაღალი რისკის კონტინგენტის მაქსიმალურად დროული (პრე- და პერინატალურ პერიოდში) გამოვლენა პირველადი პროფილაქტიკური ღონისძიებების (ჰიპოალერგიული ცხოვრების პირობები, ელიმინაციური დიეტა,

ვაქცინაციის ინდივიდუალური კალენდრის შედგენა და ა. შ.) მიზანმიმართული ოპტიმიზაციის და ეფექტური იმპლემენტაციის კარგი საფუძველი იქნება.

ატოპიური დერმატიტის მაღალი პრევალენტობა, ადრეულ ასაკში დებიუტი, ცხოვრების ხარისხის გაუარესება, ჯანდაცვის რესურსების დანახარჯების ზრდა, სხვა ალერგიულ ფენოტიპებში პროგრესირება განაპირობებს არაინვაზიური პრედიქტორული ბიომარკერების ძიების აუცილებლობას ატოპიური დერმატიტისადმი განწყობილი პოპულაციის იდენტიფიკაციის და პრევენციული ღონისძიებების ოპტიმიზაციის მიზნით.

### **კვლევის ჰიპოთეზა**

სავარუდოდ, ადრეული ასაკის ბავშვთა პოპულაციაში ატოპიური დერმატიტის პრევენციის ეფექტურობას განსაზღვრავს ანტენატალური და პოსტნატალური პრედიქტორული მარკერების ინტეგრაცია ოჯახური ალერგიული ანამნეზის მქონე კონტინგენტში, იმ პოპულაციასთან შედარებით, რომელთაც არ აღენიშნებათ ოჯახური ალერგიული ანამნეზი.

### **კვლევის მიზანი**

ადრეული ასაკის ბავშვებში ატოპიური დერმატიტის ფორმირების კლინიკური, ტრიგერული და იმუნოლოგიური მარკერების პროგნოზული მნიშვნელობის შეფასება და მათ საფუძველზე მიზანმიმართული პროფილაქტიკური ღონისძიებების დასახვა ჩვილ ბავშვთა პოპულაციაში.

### **კვლევის ამოცანები**

1. პროსპექტული, კოჰორტული კვლევის წარმოების მიზნით, დედა-ბავშვის წყვილის სამიზნე პოპულაციის ფორმირება და კლინიკურ-იმუნოლოგიური დახასიათება;
2. ადრეული ასაკის ბავშვებში ატოპიური დერმატიტის ფორმირების პრე- და პერინატალური პრედიქტორების გამოვლენა და მრავალფაქტორული ანალიზი;
3. ორსულებში ეოზინოფილების, IgE-ს და ვიტამინ D-ს კონცენტრაციის რაოდენობრივი მაჩვენებლების (ქვარტილები, ინტერქვარტილური დიაპაზონი) შესწავლა და კორელაციის შეფასება;

4. ორსულებში ვიტამინ D-ს დეფიციტის და ბავშვებში ატოპიური დერმატიტის მიმდინარეობის თავისებურებების ასოციაციის შეფასება;
5. მიღებული კლინიკურ-იმუნოლოგიური მაჩვენებლების საფუძველზე ატოპიური დერმატიტის ფორმირების ადრეული პროგნოზული მოდელის შემუშავება.

#### **კვლევის მეცნიერული სიახლე**

- განისაზღვრა ორსულებსა და ატოპიის განვითარების რისკის ჯგუფის ახალშობილებში ეოზინოფილების და ტოტალური IgE-ს რაოდენობრივი მაჩვენებლები და კორელაცია მემკვიდრულ დატვირთვასთან;
- შესწავლილი იქნა ვიტამინ D-ს სტატუსი ორსულებში. გაანალიზდა მიღებული მაჩვენებლების კორელაცია მემკვიდრულ დატვირთვასთან და ხვედრითი წილი ადრეული ასაკის ბავშვთა პოპულაციაში ატოპიური დერმატიტის ფორმირებაში;
- შეფასდა ძროხის რძის ცილაზე ალერგიის ვერიფიცირების CoMiSS-ის სკალის პროგნოზული მნიშვნელობა ატოპიური დერმატიტის მქონე ბავშვებში;
- გამოვლინდა ატოპიური დერმატიტის ფორმირების პროგნოზული კლინიკურ-იმუნოლოგიური და ბიოქიმიური მარკერები.

#### **კვლევის პრაქტიკული ღირებულება**

პროსპექტული კლინიკური კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ატოპიური დერმატიტის ფორმირების მაღალი რისკის კონტიგენტი, რაც მნიშვნელოვანია დაავადების პროგნოზირებისა და პრევენციის თვალსაზრისით.

პროგნოზული მნიშვნელობის მქონე პრენატალური რისკის ფაქტორების ცოდნა პრეგრავიდარულ ეტაპზე წარმოადგენს ატოპიური დერმატიტის პირველადი პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების და განხორციელების ბაზას.

კვლევის შედეგები იძლევა ატოპიური დერმატიტის მართვის ოპტიმიზაციის საშუალებას ბავშვის ასაკის, დაავადების სიმძიმის და მიმდინარეობის თავისებურებების გათვალისწინებით.

## დასაცავად გამოტანილი დებულებები

1. მრავალფაქტორული მათემატიკური ანალიზის საფუძველზე მიღებული დაავადების ფორმირების ხელშემწყობი სამედიცინო, კლინიკური და სოციალური მახასიათებლების მონაცემების გამოყენება მიზანშეწონილია ატოპიური დერმატიტის დროული და თანმიმდევრული პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელებისათვის.
2. CoMISS-ის სკალა შეიძლება ეფექტურად იქნას გამოყენებული ძროხის რძის ცილაზე ალერგიის ადრეული არაინვაზიური დიაგნოსტიკისათვის.
3. ორსულებში D ვიტამინის დეფიციტი კორელირებს ატოპიური დერმატიტის განვითარების რისკთან. აღნიშნული მემკვიდრულ განწყობასთან ერთად განიხილება, როგორც ატოპიის ფორმირების მაღალი რისკი.



## ლიტერატურის მიმოხილვა

### ატოპიური დერმატიტის ფორმირების თანამედროვე ასპექტები

ატოპიური დერმატიტი (ად) ფართოდ გავრცელებული ბავშვთა ალერგიული დაავადებაა, რომელიც მაღალი ხვედრითი წილით (50-75%) არის წარმოდგენილი ალერგიულ დაავადებათა საერთო სტრუქტურაში. ბოლო წლებში ატოპიური დერმატიტის გავრცელებამ 2-3-ჯერ მოიმატა ადრეული ასაკის ბავშვთა პოპულაციაში, რასაც ადასტურებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და ქვეყანაში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევები (21, 23). დაავადება წარმოადგენს კანის მულტიფაქტორულ ანთებას, რომელიც ხასიათდება ქრონიკული რეციდიული მიმდინარეობით, კანის დაზიანებული კერების მორფოლოგიის და ლოკალიზაციის ასაკობრივი თავისებურებებით, ფორმირდება უხშირესად მემკვიდრული განწყობის ფონზე და შერწყმულია სხვა ალერგიულ დაავადებებთან. უმეტესწილად დაავადების დებიუტი ხდება ადრეულ ასაკში, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მოზრდილობაშიც. ხასიათდება ქავილით, მაღალი მიმდებლობით ბაქტერიული, ვირუსული და სოკოვანი ინფექციების მიმართ (28, 33, 187).

ადრეულ ასაკში განვითარებული ატოპიური დერმატიტი არც თუ იშვიათად დებულობს ქრონიკულ ხასიათს, რასაც თან სდევს სოციალური ადაპტაციის დაქვეითება და ცხოვრების ხარისხის გაუარესება. ატოპიური დერმატიტით დაავადებულ ბავშვთა 40-50%-ს შემდგომში უვითარდება ბრონქული ასთმა, პოლინოზი და ალერგიული რინო-კონიუნქტივიტი. ამრიგად, ატოპიური დერმატიტის კლინიკური მანიფესტაცია წარმოადგენს ალერგიული რინიტის და ბრონქული ასთმის ფორმირების მნიშვნელოვან რისკის ფაქტორს (30, 198)

ბავშვებში ალერგიული დაავადებების გავრცელება ვარირებს ასაკის მიხედვით. ერთ წლამდე ყველაზე ხშირია კვებითი ალერგია, 1-დან 4-5 წლამდე – ატოპიური დერმატიტი, 5 წლიდან პუბერტატულ პერიოდამდე უმეტესად ქვედა სასუნთქი სისტემის ალერგოზებს ვხვდებით, ხოლო 12 წლიდან – ალერგიულ რინიტს და რინო-კონიუნქტივიტს (97).

ალერგიული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ალერგიული რინიტი, კონიუნქტივიტი, ატოპიური დერმატიტი) მსოფლიო მასშტაბით მზარდი გავრცელების გამო საერთაშორისო ექსპერტებმა შეიმუშავეს ბავშვთა შორის ალერგიის საერთაშორისო კვლევის მულტიცენტრული მრავალწლიანი პროგრამა (ISAAC). ISAAC (International Study of Asthma and Allergies in Childhood)–ის პროგრამის გამოყენებით ევროპის, აზიის, აფრიკისა და ავსტრალიის 155 კლინიკურ ცენტრში ჩატარებულმა მულტიცენტრულმა კვლევამ აჩვენა, რომ ატოპიური დერმატიტის გავრცელება მერყეობს 1%-დან 46%-მდე. ამავე დროს, სიხშირე ყველაზე მეტი იყო ევროპაში (26% - ნორვეგიაში, 13,0% - ესპანეთში, 6-19%- გერმანიაში, 15,6%-ზოგადად ევროპაში), ატოპიური დერმატიტის პრევალენტობა იაპონიაში შეადგენდა 24%-ს, რუსეთში - 5,9 %-ს, ხოლო აშშ-ში - 7-17%-ს. ამათგან 3-5%, ზოგი ავტორის მონაცემებით კი 17-25% ბავშვთა ასაკზე მოდის. შემთხვევათა 45%-ში ატოპიური დერმატიტი ვლინდება სიცოცხლის პირველი 6 თვის ასაკში, 60%-ში - პირველი წლის განმავლობაში. სხვა ავტორთა მონაცემებით, ბავშვებში ატოპური დერმატიტის სიხშირე აღწევს 20-30% -ს, რომელთაგან 60% - 1 წლამდე ასაკის ბავშვებზე მოდის (43, 44, 46).

ISAAC პროგრამის სამივე ფაზაში (1995-2003) მონაწილეობდა საქართველოს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი. კვლევამ გამოავლინა ბავშვთა პოპულაციაში ასთმის სიხშირის ორჯერადი ზრდა, ატოპიური დერმატიტის სიხშირის ორჯერადი, ხოლო ალერგიული რინოკონიუნქტივიტის სამჯერადი მატება (2002 წ.). კვლევებით დასტურდება, რომ ალერგიული დაავადების გავრცელების მაჩვენებლებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სქესი, კლიმატური და გეოგრაფიული ფაქტორები, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, სამედიცინო დახმარების ხარისხი და ხელმისაწვდომობა. არსებით რისკის ფაქტორებს წარმოადგენს, აგრეთვე, ეკოლოგიის, გარემო პირობების და ბავშვის მიკროსამყაროს დარღვევები, რომლებიც ღრმავდება ცხოვრების თანამედროვე სტანდარტებით. კვლევების სიმრავლის მიუხედავად, ატოპიური დაავადების გავრცელების ზრდის ტენდენციის მიზეზები, რისკ-ფაქტორები და პათოგენეზი ბოლომდე შესწავლილი არ არის და საკამათო რჩება (44, 101).

სხვადასხვა მკვლევარი ად-ს პათოგენეზის ამა თუ იმ რგოლს ანიჭებს უპირატესობას: ატოპიით მემკვიდრული დატვირთვა, გენეტიკური წინასწარგანწყობა, იმუნოკომპეტენტური უჯრედების დისფუნქცია, მეტაბოლური და ფსიქიკური დარღვევები, ალერგია და სხვა (51). უკანასკნელ წლებში ჩატარებული მოლეკულური კვლევების საფუძველზე შეიქმნა ად-ს პათოგენეზის ახალი კონცეფცია, რომელიც მოიცავს წამყვანი მექანიზმების ტრიადას: გენეტიკური წინასწარგანწყობა ატოპიის მიმართ, ეპიდერმალური ბარიერის მთლიანობის დარღვევა და იმუნური რეაქციების კასკადი, რაც განაპირობებს კანის ალერგიულ ანთების ფორმირებას (123).

ად-ს მიმართ გენეტიკური წინასწარგანწყობის რეალიზაციაში მონაწილეობენ მრავალრიცხოვანი ტრიგერები და გარემო ფაქტორები. განსაკუთრებული როლი ენიჭება ორსულობის და მშობიარობის პათოლოგიურ მიმდინარეობას (ორსულთა ტოქსიკოზი, მასიური მედიკამენტური თერაპია), პროფესიული ალერგენების ზემოქმედებას, ცალმხრივი ნახშირწყლოვანი კვებას, ობლიგატური საკვები ალერგენების მიღებას და სხვა, აგრეთვე, ორსულობისა და ლაქტაციის დროს დედის კვების დარღვევას, ჩვილ ბავშვებში ნაადრევ ხელოვნურ კვებას, რაციონში დამატებითი საკვების ადრე შეყვანას და ბავშვის ასაკისთვის შეუსაბამო საკვების გამოყენებას (136).

პერი- ან ნეონატალური პერიოდი მნიშვნელოვანია ალერგიული სენსიბილიზაციის ჩამოყალიბებისთვის. ჩვილობის ასაკის რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება მამრობითი სქესი, დაბადებისას მცირე წონა, კვების რეჟიმის დარღვევა, ხელოვნური კვება, არასწორად და ნაადრევად შემატებული საკვები, ინფექციები, იმუნური სისტემის დარღვევები, დატვირთული ოჯახური ანამნეზი, ალერგენტთან ადრეული კონტაქტი, კანის ჰიგიენის დარღვევა და სხვა (149). არანაკლებ მნიშვნელოვანია მუცლადყოფნის პერიოდში მომქმედი პოტენციური რისკ-ფაქტორები: დედის მიერ ორსულობის პერიოდში ალკოჰოლის და კოფეინის მოხმარება, პერინატალური გართულებები. ორსულობის პათოლოგიური მიმდინარეობა იწვევს გარკვეულ დარღვევებს, მათ შორის იმუნოლოგიური რეაქტიულობის ცვლილებების თვალსაზრისით, რის გამოც ახალშობილის განვითარებადი იმუნური სისტემა "ალერგიული ფენოტიპისკენ" იხრება (141, 173). ბავშვებში ატოპიური დერმატიტის

ფორმირების ენდოგენური და ეკზოგენური რისკის ფაქტორები წარმოდგენილია ცხრილში 1.

**ცხრილი1:** ბავშვებში ატოპიური დერმატიტის ფორმირების ენდოგენური და ეკზოგენური რისკის ფაქტორები ბავშვებში

ენდოგენური ფაქტორები	ეკზოგენური ფაქტორები		
-მემკვიდრული ატოპია  -კანის ჰიპერრეაქტიულობა	მიზეზობრივი ფაქტორები(ტრიგერები)		ფაქტორები, რომლებიც აღრმავებენ ტრიგერების მოქმედებას
	<p>ალერგენული</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-კვებითი</li> <li>-საყოფაცხოვრებო</li> <li>-მტვრისმიერი</li> <li>-ეპიდერმალური</li> <li>-სოკოვანი</li> <li>-ბაქტერიული</li> <li>-ვაქცინალური</li> </ul>	<p>არაალერგენული</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-ფსიქო-ემოციური</li> <li>დაძაბვა</li> <li>-მეტეოსიტუაციის შეცვლა</li> <li>- თამბაქოს კვამლი</li> <li>-საკვები</li> <li>დანამატები</li> <li>-ქსენობიოტიკები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>-კლიმატო-გეოგრაფიული</li> <li>-კვების დარღვევა</li> <li>-კანის მოვლის რეჟიმის დარღვევა</li> <li>-საყოფაცხოვრებო პირობები</li> <li>-ვაქცინაცია</li> <li>-ფსიქოლოგიური სტრესი</li> <li>-მწვავე ვირუსული ინფექციები</li> </ul>

ატოპიური დერმატიტის ფორმირების მნიშვნელოვან რისკის ფაქტორად ითვლება დატვირთული ალერგიული ოჯახური ანამნეზი (ნეიროდერმიტი, კვებითი ალერგია, პოლინოზი, ბრონქული ასთმა, რეციდიული ალერგიული რეაქცია და სხვა), რაც აღინიშნება ატოპიური დერმატიტით დაავადებულ ბავშვთა 80%-ს. ამასთან ერთად, ატოპიური დაავადების მემკვიდრული დატვირთვა უპირატესად აღინიშნება დედის მხრიდან (60-70%), შედარებით იშვიათად მამის მხრიდან (18-22%). დედის ატოპიური გენოტიპის რეალიზაციის შესაძლებლობა მკვეთრად იზრდება დამძიმებული სამეანო-გინეკოლოგიური ანამნეზის არსებობისას (233).

სადღეისოდ დადგენილია, რომ ად წარმოადგენს გენეტიკურად განპირობებულ დაავადებას, რის სასარგებლოდაც მიუთითებს დაავადების ადრეული დაწყება,

კონკორდანტობის მაღალი ხარისხი (77%-ერთკვერცხუჯრედიან ტყუპებში, 15%-ორ კვერცხუჯრედიანებში), დაავადების განვითარების რისკის ორჯერადი მატება იმ ბავშვებში, რომელთა მშობლებიდან ერთერთი ატოპიით არის დაავადებული. ასაკის მატებასთან ერთად გენეტიკური ფაქტორების ზეგავლენა შესაძლოა შემცირდეს. ორივე მშობლის ავადობის შემთხვევაში ატოპიური დერმატიტის განვითარების რისკი იზრდება 5-ჯერ და შეადგენს 60-80%-ს, ერთი მშობლის ავადობის შემთხვევაში – 45-50%-ს, ხოლო ჯანმრთელი მშობლების პირობებში - 10-20%-ს (51).

გამოყოფილია ად-სთან დაკავშირებული გენ-კანდიდატების რამდენიმე ჯგუფი: ჰუმორული იმუნური პასუხის, ანთების მედიატორების მეტაბოლიზმის, ციტოკინების რეცეპტორების, ტრანსკრიფციის და სხვა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია სამი ჯგუფი:

1. გენები, რომლებიც აკონტროლებენ ატოპიის სისტემურ გამოვლინებას (IgE-ს სინთეზის მატება, ეოზინოფილებისა და პოხიერი უჯრედების პასუხი);
2. გენები, რომლებიც აკონტროლებენ სპეციფიურ სამიზნე ორგანოებში ანთებით და ფიზიოლოგიურ საპასუხო რეაქციას (კანი - ატოპიური დერმატიტის დროს, ფილტვები - ასთმის დროს);
3. გენები, რომლებიც აკოდირებენ თანდაყოლილი იმუნური სისტემის სპეციფიურ რეცეპტორებს (212).

მრავალ კვლევაში ნაჩვენებია, რომ ად-ს განვითარების საფუძველია გენეტიკურად დეტერმინირებული (მემკვიდრეობის მულტიფაქტორული, პოლიგენური ტიპი) იმუნური პასუხი ალერგენების მოქმედებაზე (69). ატოპიური გენოტიპის შემთხვევებში ხშირად ირთვება არაიმუნური გენეტიკური დეტერმინანტები კანის პოხიერი უჯრედების პროანთებითი ქიმაზების ჭარბი სინთეზით, რაც იწვევს ჰიპერმგრძობელობას. ატოპიური გენოტიპისთვის დამახასიათებელია იმუნური პასუხის პოლარიზაცია TH-2-ს უპირატესი აქტივაციით და სიჭარბით, რასაც თან სდევს საერთო IgE-ს და სპეციფიკური IgE-ს ანტისხეულთა ჰიპერპროდუქცია. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ად-ს დამემკვიდრება ხდება პოლიგენური ტიპით, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი აღიარებს დამემკვიდრების დომინანტურ ტიპს (64, 72).

უკანასკნელი სამეცნიერო მიღწევების მიხედვით, კანის ჰიპერმგრძობელობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ატოპიური რეაქციის რეალიზაციას დერმატიტის სახით. ჰიპერმგრძობელობის რეაქციების სისტემაში ატოპიის ადგილი განსაზღვრული იქნა ევროპის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის აკადემიის ნომენკლატურული კომიტეტის მიერ (EAACI) (27). (ცხრილი2).

ცხრილი 2: ჰიპერმგრძობელობის კლასიფიკაცია

ჰიპერმგრძობელობა				
ალერგიული ჰიპერმგრძობელობა (იმუნური მექანიზმი განსაზღვრულია ან დასაბუთებულად ივარაუდება)			არალერგიული ჰიპერმგრძობელობა (იმუნური მექანიზმი გამორიცხულია)	
IgE - გამუალებული		არა IgE - გამუალებული	ფსევდოატოპია	ენზიმოპათია
არაატოპიური	ატოპიური	T - უჯრედ გამუალებული:	ასპირინის აუტანლობა,	დეჰიდროგენაზის დეფიციტი
ინსექტური, ჰელმინთები, მედიკამენტი	რინიტი, ბრონქული ასთმა, დერმატიტი	კონტაქტური დერმატიტი, ცელიაკია. ეოზინოფილური: გასტროენტეროპათია	ფსიქოგენური დატვირთვის აუტანლობა, ფსიქოგენური.	(ჰემოლიზური ანემია), ლაქტაზის დეფიციტი ნაწლავურ სითხეში (რძის აუტანლობა).

ყველა ადამიანს აქვს შეხება პოტენციურ ალერგენებთან, თუმცა, არაატოპიურ პირებში არ ვითარდება IgE - გამუალებული ალერგიული რეაქციები. ალერგენის საპასუხოდ ხდება TH-1 უჯრედების პროლიფერაცია და მათ მიერ პროდუცირებული

ციტოკინები, მათ შორის ინტერფერონი (IFN)— $\gamma$ , იწვევს ალერგენსპეციფიური IgE-ანტისხეულების პროდუქციის გაძლიერებას. TH-1 ციტოკინები ააქტივებენ ფაგოციტებს და ჩართულნი არიან უჯრედშიდა მიკროორგანიზმების (მიკობაქტერია) ერადიკაციაში. გენეტიკურად წინასწარგანწყობილ ატოპიურ პირებში ხდება TH-2 უჯრედების პროლიფერაცია, რომელთა ციტოკინები განაპირობებენ IgE-ანტისხეულების და ეოზინოფილების პროდუქციის გაძლიერებას. მწვავე ალერგიული უჯრედული რეაქციისას ხდება ქსოვილების ინფილტრაცია TH-2 უჯრედებით, ხოლო ქრონიკული ალერგიული რეაქციებისათვის დამახასიათებელია TH-1 და TH-2 ინფილტრაცია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან TH-1 ციტოკინები აძლიერებენ ალერგიული ანთების ეფექტორულ უჯრედებს და განაპირობებენ დაავადების სიმძიმეს (107).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი უკავია T- მარეგულირებელ უჯრედებს, რომლებსაც გააჩნიათ უნარი მოახდინონ ეფექტორული T- უჯრედების სუპრესია. ამ უჯრედებისთვის დამახასიათებელია მათ ზედაპირზე იმუნოსუპრესორული ციტოკინის IL-10-ის და მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორის (TGF)- $\beta$ 1 არსებობა. T-მარეგულირებელი უჯრედები აინჰიბირებენ სასუნთქი გზებში ეოზინოფილიას და ამცირებენ აირგამტარი გზების ჰიპერრეაქტიულობას. ადამიანებს, რომელთაც აქვთ FOXP3 გენის მუტაცია, აღენიშნებათ T- მარეგულირებელი უჯრედების ნაკლებობა და უვითარდებათ მძიმე იმუნური დისრეგულაცია. მათ აღენიშნებათ IgE-ს მაღალი დონე. ამგვარად ვარაუდობენ, რომ T-მარეგულირებელი უჯრედები აწესრიგებენ ალერგიულ იმუნურ პასუხს და მათი ნაკლებობა განაპირობებს ალერგიული დაავადებებისადმი წინასწარგანწყობას (72, 83).

IgE - გაშუალებული იმუნური პასუხი მოიცავს სამ ფაზას. პირველი არის ადრეული ფაზა, როდესაც ვითარდება მყისიერი პასუხი ალერგენზე, ექსპოზიციიდან 10 წუთის განმავლობაში. მწვავე რეაქცია ასოცირდება სისხლძარღვების მომატებულ განვლადობასთან, რასაც თან ახლავს ქსოვილების შეშუპება. იმისდა მიხედვით, თუ სად ხდება ალერგენის შეჭრა, აღინიშნება ქავილი, ცემინება, აბდომინალური კოლიკა, შესაბამისად კანზე, ცხვირში ან გასტროინტესტინალურ ტრაქტში. მეორე - არის გვიანი ფაზა (ალერგენის ექსპოზიციიდან 6-12 საათი) - კანზე ვითარდება შეშუპება, სიწითლე,

ინდურაცია, ცხვირში - გახანგრძლივებული რინიტი, ხოლო ფილტვებში - სტრიდორი. გვიანი ფაზა ხასიათდება ნეიტროფილების და ეოზინოფილების ადრეული ინფილტრაციით. მესამე ფაზა არის ქრონიკული ალერგიული დაავადება, როდესაც ქსოვილოვანი ანთება გრძელდება ხანგრძლივად (89).

მუდმივ ქსოვილოვან ანთებას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი. ალერგენების პერიოდული ექსპოზიცია იწვევს ალერგიული ეფექტორული უჯრედების (პოხიერი უჯრედები, ბაზოფილები, ეოზინოფილები და TH-2 უჯრედები) განმეორებით სტიმულაციას (171). არსებობს მტკიცებულება, რომ ლოკალურად ხდება ეოზინოფილების თვითგენერაცია, რაც ახანგრძლივებს ქსოვილების დაზიანებას. შედეგად ქრონიკული ალერგიული ანთების დროს ხდება ქსოვილების რემოდელირება, რაც იწვევს შეუქცევად ცვლილებებს სამიზნე ორგანოებში. ატოპიური დერმატიტის დროს კანის რემოდელირების ნათელი მაგალითია ლიქენიფიკაცია. TH-2 ციტოკინები არა მარტო ხელს უწყობენ ალერგიულ ანთებას, არამედ ასევე განაპირობებენ სამიზნე ორგანოებში ქსოვილების რემოდელირებას (78, 83).

ად-ს ფორმირების პათოგენეზურად კიდევ ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს კანის ბარიერული ფუნქციის უკმარისობა, რაც განპირობებულია ცილა ფილაგრინის დამბლოკველი გენის მუტაციით (169). ეპიდერმალური ბარიერი შედგება კორნეოციტებისგან, რომლებიც განლაგებული არიან ორშრიან ლიპიდურ მატრიქსში, უზრუნველყოფენ კერატინული ფიბრილების შრის მექანიკურ დაცვას და წარმოადგენენ ბიოსენსორულ სისტემას, რომელიც არეგულირებს კანის ლიპიდურ ცვლას, წყლის და აუცილებელი ნივთიერებების კარგვას, იცავს კანს ტოქსინების, პათოგენური მიკროორგანიზმების და ალერგენების შეჭრისგან ღრმა შრეებში (56) .

ფილაგრინი (filament aggregating protein) — ახორციელებს კერატინის ფილამენტების აგრეგაციას და ქმნის სტრუქტურულ მატრიცას (140). მისი მუტაცია განსაზღვრავს ფუნქციების სრულ ან ნაწილობრივ კარგვას, რაც არღვევს ეპიდერმისის საბოლოო დიფერენცირების პროცესებს. კანი ხდება უფრო მგრძობიარე გარემოს ფაქტორების ზემოქმედების მიმართ, რაც განაპირობებს ად-ს მძიმე მიმდინარეობას (150,218). დადგინდა, რომ ფილაგრინის პროდუქციის შემცირება ხელს უწყობს Th-17-ს



აქტივაციას, რომელიც პასუხისმგებელია კანის ალერგიული ანთების პროცესის ქრონიზაციაზე. ითვლება, რომ ფილაგრინის გენეტიკური პათოლოგია წარმოადგენს წამყვან რგოლს ად-ს შემდგომი ევოლუციის და „ატოპური მარშის“ ფორმირების პროცესში (56, 87, 191).

ად-ს დროს კანის ანთების ფორმირების ტემპები დაკავშირებულია ეპიდერმალური ბარიერის მთლიანობის დარღვევასთან, რაშიც მონაწილეობს ეპიდერმისის გარქოვანებული უჯრედები, ლიპიდური მანტია, რომელიც ფარავს მის ზედაპირს და კანის მიკრობიომი. კანის ბარიერის დაზიანება დაკავშირებულია ასევე პეპტიდაზების დიფუნქციასთან - მათი აქტივობა ად-ს დროს იზრდება, რაც იწვევს ცილების აქტიურ დაშლას და რქოვანა შრის მთლიანობის რღვევას (78, 183).

დამტკიცებულია ატოპიური დერმატიტით დაავადებულ ბავშვთა კანის უჯრედული თავისებურებების გენეტიკური დეტერმინაცია: ლანგერჰანსის უჯრედების და აპოპტოზის მიმართ მდგრადი ეოზინოფილების დაგროვება კანში, რაც ზრდის მათ ცირკულაციას სისხლში 3 თვემდე (ნორმაში -ერთ თვემდე), ვლინდება მიტოზური აქტივობის დარღვევით და ეპიდერმისში პროლიფერაციული პროცესების გაძლიერებით (132).

ად-თი დაავადებულების კანში გამოვლენილია ანტიმიკრობული პეპტიდების პროდუქციის დეფიციტი, რომლებიც აუცილებელია ბაქტერიებისგან, ვირუსებისა და სოკოსგან თავდასაცავად. დადგენილია, რომ ად დაავადებულების 80-95%-ს აღენიშნება ნაწლავის დისბიოზი, ლაქტო- და ბიფიდობაქტერიების დეფიციტი, *Staphylococcus aureus*, *E. coli* -ის და *Candida*-ს ჭარბი ზრდა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს Th17 -ს აქტივაციას კანში და კიდევ უფრო ამძიმებს ად-ს მიმდინარეობას (126, 147). Th2 - ციტოკინების მაღალი პროდუქციის პირობებში ანტიმიკრობული პეპტიდების დეფიციტით აიხსნება *Staphylococcus aureus* კოლონიზაციის მომატება კანში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება *Staphylococcus aureus*-ის ცილას და ენტეროტოქსიურ სუპერანტიგენს, რომელიც ააქტიურებს ლიმფოციტების 10%-ს.

ატოპიური დერმატიტით დაავადებულთა 50%-ში სტაფილოკოკური ტოქსინების მიმართ წარმოებს IgE-ანტისხეულების პროდუცირება. დამტკიცებულია, რომ კანის

ზედაპირზე სტაფილოკოკური ენდოტოქსინის ლოკალურმა პროდუქციამ შეიძლება გამოიწვიოს მასტოციტებისგან IgE-განპირობებული ჰისტამინის გამოთავისუფლება, რაც ქავილის ტრიგერია. ქავილის დროს პათოგენური ფლორით ინფიცირება მრავალჯერ ამლიერებს ლიმფოციტების პროლიფერაციას და ახანგრძლივებს ანთებით პროცესებს კანში (106).

ალერგიული ანთების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დენდრიტული უჯრედები, ლანგერჰანის უჯრედები, მაკროფაგები და მონოციტები. მათ ფუნქციას წარმოადგენს T-უჯრედებისადმი ალერგენების წარდგენა. ანტიგენწარმდგენი უჯრედები ძირითადად განთავსებულია ლიმფოიდურ ორგანოებსა და კანში., ნაწლავების საკუთარ ფირფიტაში, კანში და ფილტვში განთავსებული პერიფერიული დენდრიტული უჯრედები შედარებით მოუმწიფებელია. მათ ანტიგენები მიაქვთ უახლოეს ლიმფურ კვანძებში მდებარე T- უჯრედებთან, განიცდიან რა მიგრაციის დროს ფენოტიპურ და ფუნქციურ ცვლილებებს.

ბოლო წლების მიღწევად ითვლება კანის მიკრობიოტას დარღვევის და ნაწლავის მიკრობიოტას დისფუნქციის, როგორც ობლიგატური ფაქტორების მნიშვნელობის დადგენა ად-ს მიმდინარეობაში, განსაკუთრებით ადრეული ასაკის ბავშვებში (42). დადგენილია, რომ კანის მიკრობიოტა წარმოქმნის ნივთიერებებს, რომლებიც წინ აღუდგებიან პათოგენებს და ამლიერებენ კანის T-ლიმფოციტების ფუნქციას (88).

კანის მოლეკულური და უჯრედული ბარიერების დაზიანება ალერგენებთან ურთიერთქმედებაში განაპირობებს ალერგიული ანთების შემდგომი ფაზების კასკადს. კანის ალერგიული ანთების რეალიზაციაში მონაწილეობენ შემდეგი უჯრედები: კერატინოციტები, ეპიდერმალური დენდრიტული უჯრედები, ლიმფოციტები, ქსოვილოვანი ეოზინოფილები და მაკროფაგები (168). ეპიდერმალური დენდრიტული უჯრედები წარმოადგენენ კანის იმუნური სისტემის ძირითად უჯრედებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან IgE-გაშუალებული ალერგენების დაგროვებასა და ალერგიული ანთების მწვავე ფაზის განვითარებაზე. ეპიდერმალური დენდრიტული უჯრედების რაოდენობა კანში ად-ს დროს გაცილებით მეტია, ვიდრე ჯანმრთელ პირებში (98).

რიგ ავტორთა აზრით, ად-ს იმუნოპათოგენეზი უკავშირდება T- ლიმფოციტების დიფერენცირებას და მათი ციტოკინური სეკრეციის შეცვლას. T - ჰელპერების გააქტიურება ად-ს დროს განაპირობებს მათ გადართვას Th2 ჰელპერების მიმართულებით, რასაც თან ახლავს სპეციფიური Th2-ციტოკინების - ინტერლეიკინების (IL-4, IL-5, IL-13) და IgE-ს პროდუქციის გაძლიერება, გააქტიურებულ T-ლიმფოციტებს ნახულობენ ად დაავადებულთა ეპიდერმისში, როგორც მწვავე, ისე ქრონიკული ანთების დროს (107, 231).

ბოლო წლებში სენსიბილიზაციის ფორმირების პროცესში T-ჰელპერების დიფერენცირება სახელდება, როგორც Th1/Th2 პარადიგმა. T-ჰელპერების სუბკლასებს შორის გამოვლენილი დისბალანსი და მისი როლი ად-ს დროს კანის დაზიანებაში ცვლის წარმოდგენებს T-ჰელპერების და იმუნორეგულატორული ინდექსის (T-ჰელპერები/ T-სუპრესორები) მატების დიაგნოსტიკური მნიშვნელობის შესახებ (129). ცხადია, რომ ეს უჯრედები ციტოკინების, მემბრანშემოჭველი მოლეკულების და B-ლიმფოციტების მიერ გამომუშავებული IgE-ანტისხეულების მეშვეობით ქმნიან ურთიერთდამოკიდებულ გამშვებ მექანიზმებს კანის ალერგიული ანთების ფორმირებისათვის (124).

ამრიგად, ად-ს პათოგენეზი მოიცავს უჯრედული იმუნიტეტის და უჯრედ-გაშუალებული ალერგიული რეაქტივობის დისბალანსს. ამასთან ერთად, Th2-ციტოკინები წარმოიქმნება უფრო ჭარბი რაოდენობით, ვიდრე Th1. წამყვანი იმუნოპათოლოგიური მექანიზმი მდგომარეობს T -ჰელპერების (Th<sub>1</sub> и Th<sub>2</sub>) ორფაზიან ცვლილებებში. მწვავე ფაზაში ხდება Th2 -ჰელპერების აქტივაცია და IgE - ანტისხეულების შესაბამისი მატება, ხოლო ქრონიკული ფაზა ხასიათდება Th1 ჰელპერების სიჭარბით(230).

ად-ს ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის პათოლოგია, განსაკუთრებით ნაწლავის მიკრობიოტას ცვლილებები, რაც იწვევს საკვების მონელების დარღვევას, ნაწლავის ბარიერული ფუნქციის მოშლას და სხვადასხვა ანტიგენური კომპონენტის შეწოვის გაძლიერებას. ბავშვთა უმრავლესობას დაბადების პირველს წელს ად უვითარდება, როგორც კვებითი ალერგიის შედეგი. ამ

შემთხვევაში ეტიოლოგიური სპექტრი საკმაოდ ფართოა. პრაქტიკულად, ნებისმიერი საკვები პროდუქტი შეიძლება ალერგიული რეაქციის მიზეზი გახდეს. კვებითი სენსიბილიზაციის ხასიათი არსებითად დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე. აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შემთხვევათა 93%-ში კვებითი ალერგიას იწვევს შემდეგი პროდუქტები: კვერცხი, არაქისი, რძე, სოიო, ნიგოზი, თევზი, ზღვის პროდუქტები და ხორბალი (94). ხილსა და ბოსტნეულზე ალერგიას შედარებით იშვიათად ვხვდებით და მათი მიმდინარეობაც გაცილებით მარტივია (196) (ცხრილი 3)

ცხრილი 3: ერთ წლამდე ასაკში ალერგიის გამომწვევი საკვები პროდუქტები

საკვები პროდუქტი	ალერგენი(ანტიგენი)	სიხშირე (%)
ძროხის რძე	კაზეინი, ხარის შრატის ალბუმინი, ბეტა-ლაქტოგლობულინი, ალფა-ლაქტალბუმინი	70-89
კვერცხი	ოვალბუმინი, ოვომუკოიდი	65-70
ბურღულეული	გლუტენი, გორდეინი	30-40
სოია	S- ცილა	20-25
თევზი	M - პარალბუმინი	30-100
წითელი ან ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული	ჰაპტენები	40-45

ძროხის რძის ცილისადმი ალერგია ატოპიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა 2 წლამდე ასაკის ბავშვებში. ძროხის რძის ცილის მიმართ ალერგიის ფორმირება შესაძლებელია ძუძუთი კვების დროსაც, რომელიც უკუიქცევა, თუ დედა წყვეტს რძის შემცველი პროდუქტების მიღებას (180, 220).

ძროხის რძის ცილაზე ალერგია გვხვდება შემთხვევათა 70-89%-ში და უფრო ხშირად ვითარდება ხელოვნურ ან შერეულ კვებაზე გადაყვანის დროს. ბუნებრივ კვებაზე მყოფ

ბავშვებში აღინიშნება 0,5-1,5%-ში და განპირობებულია ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდში სენსიბილიზაციით დედის მიერ ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში რძის პროდუქტების ჭარბი მიღების შედეგად. ESPGHAN მონაცემებით, ძროხის რძის ცილაზე ალერგიის სიხშირე ჩვილებში შეადგენს 2-5%-ს (76). ძროხის რძის ცილაზე ალერგია წარმოადგენს იმუნური სისტემის სპეციფიური რეაქციის არასასურველ ეფექტს, რომელიც ვითარდება ძროხის რძის ყოველი გამოყენების დროს (181). ძროხის რძე შეიცავს 25-ზე მეტ ანტიგენს, რომელთა შორის ყველაზე აქტიურია კაზეინი, ბეტა-ლაქტოგლობულინი და ლაქტალბუმინი. ძროხის რძის ალერგენები საკმაოდ სტაბილურია და თავის ალერგიულ თვისებებს ინარჩუნებენ ტექნოლოგიური დამუშავების შემდეგაც, უფრო მეტიც - პასტერიზაცია აძლიერებს ალერგულ თვისებებს (2, 4).

ტერმინოლოგიაში არსებული მეთოდოლოგიური და გეოგრაფიული განსხვავებების გამო, ძროხის რძეზე ალერგიის გავრცელების მაჩვენებლები უცნობია და მიახლოებითი მონაცემებით 1,9-4,9%-ს შეადგენს (128). მშობლების მონაცემებით, ძროხის რძის გამოყენების შემთხვევებში განვითარებული სიმპტომების მიხედვით, ძროხის რძეზე ალერგიის სიხშირე 1-დან 17%-მდე მერყეობს. დანიაში ჩატარებული კვლევის შედეგებით, შემთხვევათა 50%-ში ძროხის რძეზე ალერგია IgE-დამოკიდებულია (115). IgE-ს მაღალი მაჩვენებლები პროცესის სავარაუდო გახანგრძლივებაზე მეტყველებს. დაავადების შემდგომი მიმდინარეობის შესახებ მონაცემები მწირია და მხოლოდ დაავადების მწვავე ფორმების დინამიკას ასახავს (128).

